ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში

განხორციელების ვადა: 26.11.2015 - 25.11.2019

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 5 033 940

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
DEUTSCHE GESELLSCHAFT FUR INTERNATIONALE ZUSAMMENARBEIT (GIZ)

პროექტის ვებსაიტები: www.giz.de

პროექტის აღწერა:

პროექტის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეების შესაძლებლობათა გაძლიერება, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა და მათ შეძლონ ასოცირების შეთანხმებით შექმნილ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტირება. პროექტი საფუძველს უყრის სექტორის განმტკიცებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ფართომასშტაბიან ეკონომიკურ ზრდას.

პროექტი ოთხ კომპონენტს მოიცავს:

კომპონენტი 1: მეწარმეობის განვითარების ჩარჩო პირობების გაუმჯობესება და მცირე და საშუალო მეწარმეების მონაწილეობა პოლიტიკურ დიალოგში.
კომპონენტი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული ინსტიტუტების სიმძლავრეების სიღრმისეული განვითარება.
კომპონენტი 3: მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ, სექტორულ და ადგილობრივ დონეზე ბიზნეს კლასტერების განვითარებისა და ბიზნეს ქსელების მხარდაჭერის გზით.
კომპონენტი 4: ბიზნეს კლასტერებისა და ქსელების ინტეგრირება ევროკავშირში მოქმედ შესაბამის ქსელებში, რომლებიც ორიენტირებულია მეწარმეობის განვითარებაზე, ინვესტირებასა და ვაჭრობის ხელშეწყობაზე.

მოსალოდნელი შედეგები:

- DCFTA-სთან ადაპტირებასთან დაკავშირებული მინიმუმ 3 კონკრეტული პრიორიტეტული ზომა შემუშავდა და განხორციელდა.
- 3 ყოველწლიური კონფერენციის რეკომენდაციების გათვალისწინებით კონკრეტულ საკითხზე ორიენტირებული საჯარო-კერძო სექტორებს შორის დიალოგის პროცესი წარიმართა მისი შედეგების მონიტორინგით.
- შემუშავდა, დაინერგა და ტესტირება გაიარა ბიზნესის მხარდაჭერის მინიმუმ 6-მა ახალმა სერვისმა (საინფორმაციო, საკონსულტაციო, ტრენინგი, და ა.შ.).
- წამყვან რეგიონებსა და სექტორებში 5 ბიზნეს ქსელი/კლასტერი დაფუძნდა.
- 5 ქართული ბიზნეს კლასტერი დაკავშირდა შესაბამის ევროპულ კლასტერებსა და ქსელებთან.